ალლაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს ღვინის, მკვდარი ცხოველების, ღორისა და კერპების გაყიდვა

ჯაბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან მოისმინა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), მექქის აღების წელს, მექქაში ყოფნის დროს ამბობდა: «ალლაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს ღვინის, მკვდარი ცხოველების, ღორისა და კერპების გაყიდვა". მაშინ ჰკითხეს: „ო, ალლაჰის მოციქულო, როგორ მოვიქცეთ მკვდარი ცხოველების ცხიმთან დაკავშირებით? იგი ხომ გამოიყენება გემებების დასაფარად (გემებზე წასასმელად), ტყავის დასაზეთად და სანთლების გასანათებლად?" მან უპასუხა: «არა, ეს აკრძალულია». შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰმა დასაჯოს იუდეველები! როდესაც ალლაჰმა მათ ცხიმი აუკრძალა, მათ იგი გაადნეს, გაყიდეს და მიიღე მისგან სარგებელი (ან შეჭამეს მისი სარგებლიდან)».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ჯაბირ იბნ აბდულლაჰმა, დაე კმაყოფილი იყოს მათით ალლაჰი, გადმოსცა, რომ მან მოისმინა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომელმაც მექქის დაპყრობის წელს, მექქაში ყოფნის დროს, თქვა: ნამდვილად, ალლაჰმა და მისმა მოციქულმა აკრძალეს ღვინის, მკვდარი ცხოველების, ღორისა და კერპების გაყიდვა. მაშინ ჰკითხეს: ო, ალლაჰის მოციქულო, ნებადართულია თუ არა მკვდარი ცხოველების ცხიმის გაყიდვა? რადგან ის გამოიყენება გემების დასაფარად, ტყავის დასაზეთად და სანთლების გასანათებლად. მან უპასუხა: არა, მისი გაყიდვა აკრძალულია. შემდეგ მოციქულმა თქვა: ალლაჰმა დაღუპოს და დაწყევლოს იუდეველები! როდესაც ალლაჰმა მათ ცხოველთა ცხიმი აუკრძალა, მათ ის გაადნეს, გაყიდეს და შეჭამეს მისგნა მიღებული სარგებელი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4556